

ვაჟა მელიქიშვილი

SCULPTURE

ქანდაკეა

VAJHA MELIKISHVILI



პროექტის ავტორი:
თამარ მელიქიშვილი

ავტორი მადლობას უხდის
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წიგნის გამოცემის დაფინანსებისათვის
და
მეგობრებს თანადგომისათვის:

დიზაინერი:
ნია მშვიდობაძე

ფოტო:
გიორგი ბარამიძე, სოფი სითველი, გიორგი ჩხატარაშვილი, ზინა ბარნოვი

თარგმანი:
მარინა ქორელი, დავით ბოსტანაშვილი

ასევე
ლევან ერისთავს, შაკო თევდორაძეს



The author of project :
Tamar Melikishvili

The author expresses gratitude to Ministry of Culture and Monument Protection of Georgia
for funding the publishing and friends for support:

Designer:
Nia Mshvidobadze


Photo:
Giorgi Baramidze, Sophie Sitwell, Giorgi Chkhatarashvili, Zina Barnovi

Translation:
Marina Koreli, David Bostanashvili

Also
Levan Eristavi, Shako Tevdoradze

ვაჟა მელიქიშვილი
„ჩემი ნამუშევრების არასრული ნუსხა“

VAJHA MELIKISHVILI
“INCOMPLETE LIST OF MY WORKS”



თბილისი
TBILISI
2011



1936 - 2004

„თავისი მოსვლით საფიქრალს გვიტოვებდა“ - ამბობდნენ მხატვრები ვაჟა მელიქიშვილზე.

ბედნიერია შემოქმედი, რომელიც თავისი სათქმელით მოვა, შექმნის საკუთარ სამყაროს და ეს სამყარო არავის არ ჰგავს, მისია მხოლოდ....

ვაჟა მელიქიშვილის ცხოვრება სავსეა მუდმივი ძიებებით და ფორმათა სიახლით, მკვეთრი ინდივიდუალურობით, საგანთა და მოვლენათა არსში წვდომისა და განზოგადების დიდი ნიჭით. ხელოვნებათმცოდნეთა შეფასებით იგი გამოირჩეოდა დღევანდელი ხელოვნებისათვის თითქოს უჩვეულო აზროვნებით, რომელიც მატერიალურისაგან განწყენებულის ვიზუალურად წარმოჩენისაყენ იყო მიმართული, რაც თავისთავად ხელოვნების მარადიულობის ნიშან-თვისებაა.

სიმონ-ვაჟა მელიქიშვილი დაიბადა 1936 წელს. აღიზარდა წმ. მღვდელმონაქმე სიმონ მჭედლიძის შთამომავალთა გარემოში, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ჰაერით სუნთქავდა, სადაც XIX საუკუნის საქართველოს განწყობა სუფევდა და ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გარემო ცოცხლობდა... სადაც ერთმანეთს შეხვდა XIX და XX საუკუნე...

საშუალო განათლება მიიღო დიდი ტრადიციებით განთქმულ თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლაში, სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიაში ისეთი ცნობილი ხელოვანების ხელმძღვანელობით, როგორებიც იყვნენ სერგო ქობულაძე, სილოვან ჯაყაბაძე, დ. გაბაშვილი... მისი პედაგოგი იყო ახალი ქართული ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ნიკოლოზ ჯანდელაძე. 60-იან წლებში ვაჟა მელიქიშვილის სადიპლომო ნამუშევარმა, რომელსაც „ნყურვილი“ ჰქვია, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო თავისი პროფესიული სიძლიერითა და შესრულების ორიგინალურობით. ეს იყო სრულიად ახალგაზრდა ხელოვანის დიდი განაცხადი მონუმენტური ქანდაკების დარგში.


ვაჟა მელიქიშვილის ცხოვრების მთავარ მიზანს ხელოვნების ჭეშმარიტი მსახურება წარმოადგენდა. მიუხედავად ყოფით ურთიერთობაში თავისი ალტრუიზმისა და ტოლერანტობისა, პროფესიულ ასპარეზზე იგი იყო პრინციპული და მტკიცე პიროვნება, რომელიც მუდამ იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რაც ჭეშმარიტი მხატვრობის განვითარების შემაფერხებელ მიზეზად და დაბრკოლებად მიაჩნდა.

პერიოდი, როდესაც ვაჟა მელიქიშვილი შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა, დაემთხვა მნიშვნელოვან გარდატეხას ქართულ სახვით ხელოვნებაში. იგი ამ პროცესების აქტიური მონაწილე გახდა: ააგო მთელი რიგი მნიშვნელოვანი კომპლექსები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: გამარჯვების სტელა (სიღნაღი, 1966.); აკაკი წერეთლის მემორიალი (საჩხერე-სხვიტორის გასაყარზე 1988.); „მინმოუსვლელთა“ გრანდიოზული მემორიალი სენაკში - „დიდების კუბის“ (1976-1984წ.) 120-ზე მეტი დეფორმირებული, მაგრამ, ამავე დროს, ჯლასიკურ კანონზომიერებას დამორჩილებული ფიგურა, რომელიც გაოცებას იწვევს ადამიანის სულისა და სხეულის ტანჯვის ქანდაკების ფორმაში გამოხატვის ვირტუოზულობით, ზოგადსაქცობრივ მარადიული ტკივილის სიმბოლურ-რეალისტური ასახვის მაღალპროფესიული დონით.

ვაჟა მელიქიშვილი ავტორია ბარელიეფების სერიისა, როგორიცაა „დოვლათი“ (თბილისი, 1969წ.); ერნანდის სამთავრობო რეზიდენციაში განთავსებული ბარელიეფის „თბილისური მოტივი“; თბილისის სიონის კარიბჭისათვის გამიზნული, სახარების მოტივებზე აგებული კომპოზიცია - „ღვთისმშობელი ყრმით“; მისი საჭრეთლის შექმნილია ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები, მათ შორის შალვა დადიანის, ვალერიან გენიას, ნესტორ ქალანდარიშვილისა... ბრწყინვალე ფიგურა მიხეილ თამარაშვილისა...



ჭყორვილი - სადიპლომო ნაშრომად
THIRST - DIPLOMA WORK
1960



ბოლო პერიოდში იგი გატაცებული იყო მითოლოგიური და ისტორიული თემებით: „მეზლაპრე“, „მეფე აიეტი“, „მეფე თამარი“ - საზოგადოებაში და კოლექციებში მისი ეს ნამუშევრები იწვევდნენ დიდ დაინტერესებას, ვნებათა ლელვას, ცხარე კამათს... აი, ამონარიდი 2002 წელს „ეროვნულ გალერეაში“ გამართული გამოფენის თაობაზე გამოქვეყნებული ერთი წერილიდან: „მეტად უჩვეულო და უპრეტენზიო გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილია მოქანდაკე ვაჟა მელიქიძის ქერჯერობით მხოლოდ თაბაშირში ჩამოსხმული ქანდაკებები: „თამარ მეფე“, „მეფე აიეტი“, „იაკობ გოგებაშვილი“, „პაატა“, „წონასწორობის ქალღმერთი“ - ეს ქანდაკებები თავის თავში იტევს, ერთის მხრივ, მკვეთრად ინდივიდუალურ და, ამასთანავე, მძლავრი განზოგადების ნიშნებს, რაც განსხეულებულია ხან მონუმენტური ქანდაკებისათვის დამახასიათებელ გლუვი ზედაპირის ფართო მონასმებში, ხან კი სპილოს ძვლის ნაკეთობის თითქმის ფილიგრანულობაში. ყოველი მათგანი კი სავსეა ცოტა სევდიანი, მაგრამ ყოველთვის საოცრად ნათელი ემოციური მუხტით. ეს ქანდაკებები დიდი ხანია ელოდება საბოლოოდ ჩამოსხმას, მაგრამ სახსრები რატომღაც სხვა, ტრადიციული (სტერეოტიპული) პროექტებისათვის გამოიძენება ხოლმე იმ საბაბით, რომ საზოგადოება ირჩევს ორდინალურს (და, რაოდენ დასანანია, რომ ძალისხმევა არ არის მიმართული ამ საზოგადოების აზროვნებისა და გემოვნების განვითარებისაკენ). თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა გამოფენებზე წარმოდგენილმა ამ ნამუშევრებმა სწორედ დამთვალიერებელი საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ასე რომ, გავრცელებულ აზრს იმის თაობაზე, თითქოს საქართველოში მრგვალი ქანდაკების ტრადიცია არ არსებობს და, ამდენად, ის ჩვენში ვერც ვითარდება, ვაჟა მელიქიძის შემოქმედება სრულიად აქარწყლებს.“



ვაჟა მელიქიშვილის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ქართული ქანდაკების, არამედ ქართული წიგნის მხატვრობის განვითარების სრულიად ახალი ეტაპი და პერსპექტივები. ამისთვის უმარა დავასახელოთ თუნდაც მისი გაფორმებული პირველი წიგნი - ჯიმშურ მუჯირის „სიმღერა-მუსიკის სახელმძღვანელო“, რომელიც მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 60-იან წლებში შეასრულა; წიგნის გრაფიკის თვალსაზრისით უნიკალურია მისი დახვეწილი და ფილიგრანული მხატვრობა და კალიგრაფიული ნამუშევარი - ირაკლი აბაშიძის ცნობილი წიგნისათვის, „რუსთაველის ნაკვალევზე“ (გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965); ასევე მისი ილუსტრაციები მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის „ქილილა და დამანას“ გამოცემისათვის (ტექსტი დაადგინა მაგალი თოდუამ, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1965) - ეს არის ტრადიციული ქართული მინიატურული მხატვრობის ახალი ეტაპი, რომელიც სრულიადაც არ არღვევს და ორგანულად აგრძელებს შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების ესთეტიკის ტრადიციებს.

რაც შეეხება ქანდაკებას, ისევ იმ

გამომხატურებებს დავესესხებით, რომლებიც მისი ბოლო გამოფენის შესახებ დაიბეჭდა: „რუსთაველზე თუ გაივლით, თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს გათერების წინ მდგარი ქალის ნაღვლიანი ფიგურა ჩამონელილი „არაესთეტიკური“ პროპორციებით („შინმოუსვლელი შვილის „მოლოდინი - „მწუხარე დედა“) გამკლავები ამ ტრაგიკული ფიგურის წინ ნაბიჯს ანებებენ, მრავალტანჯული დედის ამ განზოგადებული სულის თანაღმობის ნიშნად“. საქართველოს უახლოესი წარსულისა და მსოფლიოს დღევანდელი ამსახველმა ამ ქანდაკებამაც მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...

ბოლო გამოფენაზე (სადადგმო შეთავაზება) წარმოდგენილ ქანდაკებებს ვაჟა მელიქიშვილი თავის სათაყვანებელ ქალაქში, თბილისში ხედავდა, რომლის ქუჩებში ხეტიალი მას ასე ძლიერ უყვარდა: „გავალ, თბილისს გადავხედავო“, - იცყოდა ხოლმე და ფეხით გაუყვებოდა რუსთაველის გამზირისაკენ...

დამანა მელიქიშვილი

დოკლათი - თბილისის ბაზარი
RICHES - TBILISI MARKET
1969



გაბრავების სტელა სიღნაღში
THE STELA OF VICTORY IN SIGNAGI
1966

ჯარისკაცის თვაპი
SOLDIER'S HEAD
1965

"After every visit he would leave us with something to contemplate about" used to say the artists about Vajha Melikishvili. The creator is fortunate, if he comes with something to say, if he's able to create his own world and if this world is different from anything else, his own world...

Vajha Melikishvili's life was full of constant search and novelties of forms, deep originality with understanding of things and events and a great talent of generalization. According to the evaluation of art scholars, he was distinguished by the way of thinking and it was channeled towards the visualization of immaterial, which is the sign of the eternity of the arts.

Simon-Vajha Melikishvili was born in 1936. He was brought up in the atmosphere of the ancestors of Simon Mchedlidze martyred clergy, which still carried the air of XIX century, the spirit of Georgia of that era and where environment



of Iliia Chavchavadze and Akaki Tsereteli was still alive ... where XIX and XX centuries merged with each other.

He received his secondary education in Tbilisi No 1 school for boys, so famous for its traditions, continued his studies in the Tbilisi Academy of Arts under the guidance of such distinguished artists as Sergo Kobuladze, Silovan Kakabadze, D. Gabashvili... His teacher was one of the founders of new Georgian sculpture, Nikoloz Kandelaki. In 60-ies, the diploma work by Vajha Melikishvili, called "the Thirst", attracted the attention of the society by its professional craftsmanship and the originality of the work. This was a bold declaration of a young sculptor in the field of the monumental sculpture.

The main objective in Vajha Melikishvili's life was to serve the art faithfully. Despite his altruism and tolerance in everyday life, on a professional path he was a unyielding man of principal, always fighting against what he considered as an obstacle and obstruction to the development of true art.

Period when Vajha Melikishvili emerged as an artist, coincided with the crucial breaking point in Georgian visual arts. He became an active participant of this process: he constructed the number of important complexes in Georgia and outside the country: The Stela of Victory (Signagi, 1965), Akaki Tsereteli Memorial (Sachkhere Skhvitory Junction, 1988); "The great memorial to the "Lost in War"- "The Cube of Glori" (1976-1984) – more than 120 deformed figures which nevertheless abide to the classical laws of form, and which astonish the viewer with the virtuosity of expression of the torture of body and soul in the form of a sculpture, with the high level of professionalism in expressing the global eternal pain of mankind in realistic symbols.

Vajha Melikishvili is an author of such series of bas-reliefs as "The Riches" (Tbilisi, 1968); one located in the Krtsanisi Governmental Residence "Motifs of Tbilisi"; the composition built

on the Gospel, designated for the gates of Sioni Cathedral – “Mother Mary with the Child”; Among his works are the portraits of famous Georgian figures, among others of Shalva Dadiani, Valerian Gunia, Nestor Kalandarishvili... the great sculpture of Mikheil Tamarashvili...

In the last period of his life he was pre-occupied with the historical and mythological themes: “The Story Teller”, “The King Aieti”, “The King Tamar” – these of his works were of upmost interest among his colleagues and a society in general and created fierce arguments. This is the extract from one of the published articles regarding the exhibition held in the Blue Gallery in 2002: “This was rather unusual, non-pretentious exhibition, where the cast molded works of the Sculptor, Vajha Melikishvili were presented: “King Tamar”, “King Ayet”, “Iakob Gogebashvili”, “Paata”, “The Goddess of the Balance”- these sculptures contain, the distinguished individuality on one hand and strong generalization on the other, which is materialized in “wide strokes” typical to monumental sculptures, or in almost filligree craft as in ivory. But each of them is full of a little bit sad, but always very bright emotional spark. These sculptures are waiting to be finally molded, but unfortunately the funds usually become available for other, traditional (stereotypical) projects, with the explanation that the society chooses the ordinary (and it is so regretful that no steps are taken to develop the taste in the arts of such society). But it needs to be mentioned that, these works, presented in various exhibitions, attracted the attention of the society and were highly prized by the viewers. Thus the accepted assumption that the tradition of the round sculpture is non-existent in Georgia, because of which it can not be further developed, is completely diminished by the works of Vajha Melikishvili.”

Completely new stage and perspectives of not only Georgian Sculpture but also the book illustration arts are linked to Vajha Me-

likishvili’s name. Just naming the very first book illustrated by him will be sufficient- “Song and Music Text Book” by Jimsher Mujiri, which he created during his student years, in 60-ies. From the graphics point of view the famous book by Irakli Abashidze “In the Footsteps of Rustaveli” is unique by its sophisticated and fine artistry and calligraphy (Publishing House “Literature and Art”, Tbilisi, 1965); Also his illustrations of the book by the king Vakhtang the VI and Sulkhan Saba Orbeliani “Killia and Damana” (The text was verified by Magali Todua, Publishing House “Merani”, Tbilisi, 1965) – this is a new stage of traditional Georgian miniature art, which does not violate and originally continues the traditions of the esthetics visual arts of middle ages.

As for the sculptures, I would recall the reviews which were published following his last exhibition: “If you happen to be passing the Rustaveli Avenue, your attraction by no means will be drawn towards the sad figure of a woman in front of the Gallery, with the prolonged, “non-esthetic” proportions (Expecting the return home of a missing son from war – “Grieving Mother”): the passerby will slow down near this tragic figure, by this giving their condolences to this generalized spirit of suffering mother.” This sculpture reflecting the nearest past of Georgia and the current worldwide reality has also caused controversial arguments...

The sculptures presented during his last exhibition (staging offer) , Vajha melikishvili envisaged to be mounted in Tbilisi, his home city, strolling along the streets of which he enjoyed so much: “I’ll go out, have a look at Tbilisi” he would say and start heading towards Rustaveli avenue...

მეგობრის პორტრეტი
PORTRAIT OF A FRIEND
1960



Damana Melikishvili



მ ლ ლაშვილი
LAURA AND ME
1998



ჩვენი თბილისი
MY TBILISI
1995



გიჟი აიეტო
KING AYET
1999



გეორგი არაკელი
KING EREKLE
1997



გრაფიკა
GRAPHICS
1980-1990





კომპოზიციის ბათუმის აეროპორტისათვის
COMPOSITION FOR BATUMI AIRPORT
1968





ნესტორ ხალანდარიშვილის პორტრები
PORTRAIT OF NESTOR KALANDARISHVILI
1978

ჩ(ი)ვილის პლასტიკა



როცა საუბარი ვაჟა მელიქი-შვილზეა, „ტანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ული, ...“. მე შესმის მათი ენა. ერთ ენაზე მეტყველებენ ვაჟას მეფეები და მეჩაიეები; ბელადები და ბალერინები; წმინდანები და ტანჯული ტანები; ზღაპრის პერსონაჟები, რევოლუციონერები და კიდევ სხვანი (უმეტესად დაკვეთის გარეშე, თავისუფალი ნებით შესრულებული კომპოზიციები).

ნაწარმოების სიდიდეს მეფეები და დიდებულები არ განსაზღვრავენ; ისინი არაფერს მატებენ ქანდაკებას; ქანდაკების მეტყველება - ქანდაკებზე მეტყველება გადააქცევს მეფის ქანდაკებას ქანდაკების მეფედ; ბელადის ქანდაკებას - ქანდაკების ბელადად. ვაჟასთან ასე იყო. როცა ტენინს აკეთებდა, - უყვარდა თავისი ფიქრის ტენინი. ვაჟას ფიქრი ჯი ის ადგილი იყო, სადაც საკუთარი სიცოცხლე პლასტიკის სიცოცხლედ გარდაიქმნებოდა. ვაჟას სამეგობრო წრეც უპირატესად ასეთი ფიქრის ადამიანებით იყო შემოსავლენი. ამ სივრცეში მეფობდა სიმარტოვე, უსახსრობა და სიშორე - ის დაშორებული იყო არტიკულ საზოგადოებას, ხშირ შემთხვევაში დაშტამპულს, მასკულტურის მთავარ მენარმეს.

ჩვენ „ხსოვნის კუბში“ დავმეგობრდით

- ჩვენს ერთობლივ შემოქმედებით სივრცეში. მოგვიანებით ვაჟას ქანდაკებების სამეგობროშიც აღმოვჩნდი - „ფრთოსანი ხარი“ ჩემი სკულპტურული ორეულია. ბოლო ხანებში სოლოლაკში „პოეზიის სასახლეს“ (ყოფილი „სამადლო“) ვძერწავდი. მოდიოდა, მამხნევებდა, ხარობდა - ეს ვაჟას ხასიათი იყო.

ვაჟას დიდი სიყვარული ჯიდევ სხვა თემა, სხვა ამბავი - მასშტაბური, გლობალური. ვაჟას ჯაცობრიობა უყვარდა - მთელი ჯაცობრიობა (დოსტოევსკის პერსონაჟივით). ვაჟა ერთადერთია, ვინც შემხვედრია ამ ძალით შეპყრობილი. ისეთ დროზე ოცნებობდა, ისეთ სივრცეებს აგებდა, სადაც თავს მოიყრიდნენ განსხვავებული შეხედულებების და რწმენის ადამიანები. საყოველთაო მშვიდობა და ჰარმონია იყო ვაჟას საფიქრალი. ამ ფიქრიდან დაიბადა მისი სამართლიანობის ქალღმერთიც; ამდაგვარი ფიქრიანი ბუტბუტით დალია სული.

ვაჟას ქანდაკების ადამიანები სწორედ ასეთი ნათესავები არიან, ვაჟას ნათესი ნათესავები. ისინი ერთ ენაზე ლაპარაკობენ. „აჰა ერთი ხალხია და ერთი ენა აქვთ ყველას... მოდით, ჩავიდეთ და აღვრიოთ მათი ენა...“ ხანდახმული - დროული სამყაროც ხელახლა აღაპარაკებდა, ხელახლა გადაიწერებდა, ხელახლა გადაიძერწებდა... და ვიდრე არ გადაწერილა, ვიდრე არ არეულა - ვიტყვი:

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება არანარტიკულია, ის არაფერს არ ყვება, არაფერს არ აღწერს გარდა საკუთარი თავისა; მთლიანად განიარაღებულია - არსით და არსუნაღობით - მოუმზადებელია სოციალურ დისკურსში ჩასართველად თავისი მშობელივით.

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება არამეტაფორულია, - მას არაფერზე არ გადააქვს აქცენტი, ის საკუთარი ენის სივრცეში რჩება - არამოდერნისტულია.

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება არც პოსტმოდერნისტულია, - მას არ ახასიათებს მეტაულტურული რეფლექსიები, თუნდაც მაკორექტირებელი ირონია; ის მთელი სერიო-

ზულობით ქმნის და ამით საბოლოო განაჩენიც გამოაქვს.

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება ვერც დეკონსტრუქციის დისკურსში ერთვება, მისი კომპოზიციები ცენტრის, სათავის, წონასწორობისა და ჰარმონიის ერთგულებას ინარჩუნებენ და ემიჯნებიან კრიტიკულ წაქითხვას.

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკება უფრო რეკონსტრუქციას - ხნობრივი პირველსაწყისის რეკონსტრუქციას; სინკრეტიზმის დაბრუნების ვნება; ულტურამდელი - „უელტურო“ სივრცის წყურვილი; რალაც ანტიმულაქრის ძიების ჟინი; მასკულტურად ქცეული ულტურის რლვევის წადილი.

ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკებასთან მიმართებაში, ყოველგვარი დისკურსული დისკურსი დისკრედიტაცია იღუაღის, მთლიანის. ვაჟა მელიქიშვილის ადამიანიც ის არსებაა, ვისაც მისჯილი აქვს შინაგანი კონსტიტუციური წესრიგი. ჯამიუსთან ხომ პირიქით ხდება: თავისუფლებაა - ტვირთი და სასჯელი. სასჯელი და ტანჯვა, ტკივილი და ჩივილი არ იყო ვაჟასთვის წამება, იყო ამება - სიამე, სიმხნევე.

ვაჟა გარეგნულად გავდა ჯამიუს ნაწარმოებებიდან გადმოსულ პერსონაჟს, ეგზისტენციალისტური მსოფლგანცდის ადამიანს - გაუცხოებულს, მაგრამ არა გულგრილს, პირიქით - გულით და ფიქრით დონ-კიხოტური რწმენისა და შემართების ჯაცს. არსებითად ჯი ორივე პერსონაჟი უცხოა - „უცხო“ მერსოც და მწუხარე სახის რაინდიც ერთი სახის ორი თვალთა - ქორი თვალთა - ელამი მზერა. ეს მზერა ახასიათებდა ვაჟა მელიქიშვილს - ერთი თვალთა საკუთარ ეგოში ქონდა ჩარგული, მეორე ჯი ანგელოზის დასანახად ცისკენ მიმართული - „...მოდარაჯე ჯაცის თვალთ“.

ვაჟა მელიქიშვილი არ იყო თეორიების ჯაცი, ის გრძნობდა ქანდაკებას ტანით და ჯანით, თუმცა უყვარდა ნაქანდაქარის მოყოლა, თუმცა უყვარდა სჯანი. ვაჟას მოვესმინოთ (დიქტოფონის ჩანაწერიდან):

„...ასეთი ცხოვრება ლამაზია. თითქოს უკანონობაში ჯანონია. არლვევ ჯანონებს იმი-

სათვის, რომ დააქანონო კანონი. . . . არა, ქაოსი არ არის ეს, ეს კონსტიტუციური გამდიდრებაა, თვითონ ადამიანი ხომ კონსტიტუციურად აშენებული ფიზიკაა. მისი ქვეცნობიერით და ცნობიერით. არ შეიძლება მან ახალი კანონი კონსტიტუციურობის გარეშე მოიტანოს; ის კონსტიტუციური წყობიდან გამომდინარე მოაქვს. როდესაც კონსტიტუციურ წყობასა და სტერეოტიპს შორის ვაკუუმი ჩნდება, მაშინ იწყება ხოლმე ქაოსი (იქამდე), ვიდრე კონსტიტუციურობა არ მოვა და კონსტიტუციურად არ დაფუძნდება ის ახალი ხედვები და ის ახალი კანონები რომლებიც დაიბადა. ასე, რომ მაინც ყველაფერი კანონზომიერია. კანონზომიერების გარეშე არაფერი შეიძლება იყოს იმიტომ, რომ ყველაფერი შედგება იმ მიერ და მაქრო ფიზიკისაგან, თუ ქიმიისაგან რაც თვითონ კონსტიტუციურ კანონებს აყალიბებს, ასე რომ არ ყოფილიყო ყველაფერი დაინგეროდა.

რადგან ადამიანი ევოლუციური სუბიექტია, ჰლაზმიდან უმაღლეს ფორმამდე, ამიტომ ამ განვითარების პროცესში ახალი და ახალი ხედვები იქმნება კონსტიტუციური კანონზომიერებისა. აი სწორედ ეს კონსტიტუციური კანონზომიერებები მოდის მაშინ, როდესაც იწყება მობეზრება სტერეოტიპებისა და ახალი ხედვების გაჩენა. რასაკვირველია, ვიდრე ბოლომდე გაფორმდება ეს ახალი ხედვები მაშინ ქაოსიც იწყებს მოძრაობას, „მაგრამ ადამიანი ყოველთვის ამას როგორც წესი ინტელექტის მეშვეობით კონსტიტუციურ ფარგლებში ალაგებს... ..და იწყება ჩვეულებრივი ამბავი: ის რაც ახალი იყო ოდესღაც ისევ ძველი გახდება, ისევ სტერეოტიპი გახდება და მერე ისევ ახალი მოვა, უფრო მართალი და უფრო ახალი.

...სრულყოფილება უსაზღვროა, რასაკვირველია, უსაზღვრო - საზღვრის ფარგლებში, საზღვარი კი კონსტიტუციურობაა...“ ასე ლაპარაკობდა მოქანდაკე. რას ამბობენ მისი ქანდაკებები?

შეუძლებელია ქანდაკების ენა სიტყვის ენაზე ითარგმნოს, ზუსტი ადექვატი მოეძებნოს, - უბრალოდ ისევ ჩემი ხედვა მინდა შე-

მოგთავაზოთ:

ვაჟას სკულპტურების დიდი ნაწილი პროტოკულტურული, ან პოსტკულტურული ფორმებია; ვაჟას ქანდაკების ადამიანებმა ჯერ კიდევ არ იციან ისტორია, ან უკვე აღარ იციან ისტორია; ვაჟას პლასტიკა პლაზმის, ემბრიონის გახსენებაა, ჩვილი და თოთო ზედაპირია, რომელიც ჩვეულების უკალობაზე გვაფიქრებინებს, რომ მასში შეფუთულია, ან როგორც ხელდასმულნი იყვიან, - დაფარულია: დიდი დრო, ხანდაზმულობა, სიღრმე, ისტორია, მეტაფიზიკური შიგთავსი - ლანდი არაქვეყნიური.

თუ გახსენებათა და მოგონებათა პლატონისეულ ტრადიციას დროებით მაინც თავს დავანებებთ და „იქითურის“ ჭკრეტიდან ჩვენს მზერას აქეთ მოვმართავთ, იმას ვიკმარებთ, რაც სახეზეა, ანუ ვაჟას ნაქანდაკარ სახეებს გავანთავისუფლებთ სახელებისაგან, მეტ სიამოვნებას მივიღებთ და სხვა სურათსაც:

აღმოჩნდება, რომ ვაჟა მელიქიშვილის ქანდაკებები თავად არიან ისტორიის ხაფანგიდან თავდაღწეული ლანდები და ამ ლანდებში სხვა ლანდები ვეღარ იმალებიან - ყველა მათგანი ზედაპირზეა. ვაჟას „აიესის“ და „თამარის“ მოსავადებული ზედაპირებიც ამაზე მიუთითებენ.

ეს ის შემთხვევაა, ისეთი წარმოსახვის სივრცეა, რომელშიც სიღრმის დისკურსი და ზედაპირის დისკურსი ერთიანია - ერთია და ეს „ერთი“ დგას.

- დიდი ხანია. . ?

- დიდი ხანია. . , თუმცა რას ვამბობ, ვაჟაზეა ლაპარაკი. აგერ - სულ ახლახანს გააკეთა, ოთხმოცდაოთხში.

ეს ის დრო იყო (ის დრო იდგა), როცა განვითარებული სოციალიზმის და ეროვნული სოც-რეალიზმის დრო უკვე „პრეესტროიკის“ კიბეებთან იდგა.

ახლა გალერეის კიბეებთან, რუსთაველზე ვაჟა მელიქიშვილის, მელიქი (არაბ. მეფე) შვილის მოვლენილი დედა დგას - ბრინჯაოს ქანდაკება.

„დედის დგომის“ ჰარადოქსებს აღარ ჩავყვები, არც „მცოვანების დგომის“ ჰარადიგმებს, როგორც დაყოვნებულ, თუ სამუდამოდ გადავადებულ ხანდაზმულობას - შეჩერებულ ბოლოვადობას - გარდემოცვალებას... როცა ბავშვობაც მალე მოვა და სიჩვილევ - ჩვილი პლასტიკა.

დედა დგას და არარას აკეთებს. მისი საქმე დგომაა... აქ ერთიანდება აზრი და ნონსენსი; დასაწყისი და დასასრული. სკულპტურული ტექსტისადმი პოზიციას კი პოზიციასა სამყაროს მიმართ.

ვაჟა მელიქიშვილის ცხოვრება მისივე პლასტიკაა, - სევდიანი და ჩვილიანი, ერთი გრძელი დიღინი.

რუსთაველზე გალერეის კიბეებთან მეტი დგას, ვიდრე დედის ქანდაკება - ქანდაკების დედა დგას, ქანდაკების დედა-ენა, ახალი, ჩვილი პლასტიკის ენა - სხვა ენა: ჩვილი დედა და დედის ჩვილი - ჩ(ი)ვილი.

გალერეის კიბეებთან, რუსთაველზე სხვა დგას - დგას უცხო, ანდა საუცხოო. სხვა დრო დგას, სხვა ამინდი.

შოთა ბოსტანაშვილი
2006

ლვთისმშობელი ყრბით - აოგაოზიცი
სიონის ბაძრისთვის

MOTHER MARY WITH THE CHILD
COMPOSITION FOR SIONI CATHEDRAL

1985



შევიდა სხლსა შენსა თაყვანის
ჰსბე ბაძრსა ფიქრსა შენსა.

Embryo Plastic

When one talks about Vazha Melikishvili, "only then you expect phantoms in palace..." • I understand their language. Vajha's "Kings" and "Tea farmers", "Leaders" and "Ballet dancers", "Saints" and "Tortured forms", "Fairy-tale heroes" and "Revolutionaries" speak one language (compositions created mostly without a commission, out of free will).

Kings and nobles do not define greatness of the work; they do not add anything to sculpture; the speech of sculpture - sculpture-speech turns the sculpture of a king into a king of sculpture; sculpture of a leader into the leader of sculpture. It was so in Vajha's case. When he worked on "Lenin", he loved the Lenin of his thought. Vajha's thought was a place where his own life was transformed into the life of plastic. Vajha's circle of friends was made up by the people of this same thought. Here reigned the solitude, poverty and remoteness - he was remote from artistic establishment, which marked with clichés, is the main producer of mass-culture.

We became friends in "The Cube of Memory" - in our common creative space. Later I became part of Vajha's company of statues: "The Winged Bull" is my sculptural counterpart. Recently, while I was occupied with sculpting the "Palace of Poetry", he would visit me, encourage me; he was happy for me - this was Vajha's personality.

Vajha's great love is yet another topic,

another story - a global one. Vazha loved the mankind - all human race (like one of Dostoevsky's characters). Vajha is the only person I have ever met, who was possessed by this force. He dreamed of the time when people of different views and beliefs would come together - and he designed spaces for such encounters. Universal peace and harmony were Vajha's thought and preoccupation. From this thought emerged his "Goddess of Justice"; with this thought he met his death.

Vajha's sculpture-men are his kin. They speak one language. "Behold, the people is one, and they have all one language; ... Go to, let us go down, and there confound their language, ...". The aged and the timely world will speak again, will be rewritten, will be carved again... and while not yet rewritten I shall say:

Vajha Melikishvili's sculpture is non-narrative, it recites and describes nothing beyond itself; it is disarmed; it is not prepared to engage with social discourse.

Vajha Melikishvili's sculpture is non-metaphorical, - it does not displace focus on anything, it remains in the space of its own language - it is non-modernist.

Vajha Melikishvili's sculpture is not post-modernist either, - it is not characterized by metacultural reflexions, or even by corrective irony; he creates with all seriousness and by this he makes an ultimate conclusion.

Vajha Melikishvili's sculpture cannot engage in the deconstructive discourse either; his compositions retain allegiance to Center, Origin, Equilibrium, Harmony and they resist critical reading.

Vajha Melikishvili's sculpture is rather a Reconstruction - reconstruction of moral Principle; a passion for the return of syncretism; thirst for pre-cultural, "uncultured" space; a zealous search for anti-simulacrum; desire to breach the masculature-turned culture.

Discourse of discrete with regards to Vazha Me-

likishvili's sculpture is only discredit of an Ideal, of the Whole.

The Man according to Vajha Melikishvili, is a being sentenced to inner constitutional order. And, conversely, it is the other way in Camus: the freedom itself is a burden and sentence. Sentence and anguish was not torture for Vazha, it was gratifying and heartening.

Vajha's appearance was similar to a character from Camus' writings: a man bearing existential experience of the world - alienated, but not indifferent, on the contrary, having a Don Quixotean belief and fervor with all his heart and thought. Essentially, both characters are strangers - Meursault from "Stranger" and the Sad Knight are both two eyes of the same face. This twofold nature was trait of Vazha's character - with one eye looking deep inside his "I" and another directed towards skies in search of an angel - "... eye of a guardian".

Vajha Melikishvili was not a man of theories, he felt the sculpture with body and soul; even so he loved to narrate the sculpture; even so he loved reasoning. Let's listen to Vazha (from a tape recording):

"...This kind of life is beautiful. It appears, there is a law in lawlessness. You break laws to legitimize the law. ... No, it is not chaos, it is a constitutional enrichment; is not the man constitutionally built physics - with his conscious and subconscious. He cannot bring the new law without constitutionality; he brings it out of constitutional order. When there is a void between constitutional order and stereotype, then chaos sets in, until constitutionality arrives and new born visions and laws are established. In all, everything follows laws. Without laws there can be nothing, since everything consists of micro- and macro-physics, or chemistry that establishes constitutional laws; if this were not the case, everything would be destroyed".

"Since the man is an evolutionary subject, from plasma to highest form, then new vi-

sions of constitutional regularity are created in this developing process. It is exactly these constitutional regularities that come, when stereotypes are worn out and when new visions appear. Of course, until the new visions are decisively formed, the chaos begins to move, but as a rule, the man manages to arrange all this in the boundaries of constitutional... ..and a familiar story begins: what was once new, becomes old again, a stereotype; and then something new will come, something more true and new". "... Perfection is limitless, of course, limitless within boundaries, and boundary is constitutionality..."

Thus spoke the sculptor. What do his sculptures speak?

It is impossible to translate the language of sculpture into words, to find for it a precise match; I just want to suggest my views:

The majority of Vajha's sculptures are protocultural, or postcultural forms; Vajha's

sculpture-men do not know history yet, or not know it any more; Vajha's plastic is a recollection of plasma, of an embryo; it is a newborn surface, making us think - by custom - that it enfolds - or as some would say - that it conceals the Great Time, Age, Depth, History, metaphysical contents - a phantom not of this world.

If we leave, for a while, Platonic tradition of remembrances and recollections and direct our view away from "the other side" towards here, we'll be content with what is present; i.e. if we free Vajha's carved forms from names, we shall find more joy and different perspective:

It will be made apparent, that Vajha Melikishvili's sculptures are, on their own, phantoms who escaped the trap of history and these phantoms cannot conceal other phantoms - all of them lie on the surface. The patterned surfaces of Vajha's "Ayet" and "King Tamar" demonstrate this.

This is the case - that space of imagina-

tion - when the discourse of depth and the discourse of surface are unified - are one and it is this "one" that stands.

- A long time ago already..?

- A long time ago..., but I got carried away; we talk about Vajha, don't we? It happened recently, in nineteen-eighty-four.

It was the time, when the era of developed socialism and national soc-realism was at the stairway of "Perestroika".

And now, at the stairway of "National Gallery", on Rustaveli Avenue stands "The Mother" - bronze sculpture by Vazha Melikishvili.

I shan't go further with the paradox of "The standing Mother", neither the paradigms of "standing senility" as a delayed, or perennially postponed senility - halted finality, when the childhood and infancy will come soon - plastic of an newborn form and grievance of the Mother.

The Mother stands and does nothing. Its mission is to stand... Here sense and nonsense unite - beginning and end. Position towards text of sculpture is also a position towards the world. The life of Vajha Melikishvili is his own plastic, - one long hum of grievance and melancholy.

At the stairway, on Rustaveli Avenue stands something more than a statue of Mother - here stands mother of sculpture, mother-tongue of sculpture, language of a newborn plastic - other speech.

At the stairway, on Rustaveli Avenue stands the Other - a stranger stands, a remarkable foreigner. It's a different time, it's a different weather.

Shota Bostanashvili
2006

translation: David Bostanashvili



1976-1984

დიდებას ჯუბი სენაკში
CUBE OF GLORI IN SENAKI

მოქანდაკე
ვაჟა მელიქიშვილი

არქიტექტორები: ვ. დავითაია,
შ. ბოსტანაშვილი, გ. გეგელია.

THE SCULPTOR
VAJHA MELIKISHVILI

ARCHITECTS: V. DAVITAIA,
SH. BOSTANASHVILI, G. GEGELIA.

ქ. სენაკში შექმნილი მემორიალი -
ჩემი ემოციური დაბრუნება

მადლობელი ვარ არქიტექტორების: ვახტანგ დავითაიასი, შოთა ბოსტანაშვილის და გიული გეგელიასი - მაღალი აზროვნებისთვის და აგრეთვე მეგობარ სულეხად მოვლენისათვის, ისინიც მეცენატებად არიან დაბადებულნი.

მადლობელი ვარ იმ დროს ქ. სენაკში რაიკომის მდივნის, შემოქმედი ჟურნალისტის ვახტანგ ესვანჯიასი. ის დიდი მეცენატი იყო... არა მხოლოდ ჩემი ძეგლის ხელშეწყობისათვის... ასეთად იყო დაბადებული. მეგობარ სულად იყო დაბადებული.

მადლობელი ვარ სენაკის საზოგადოებისა. მათი მშობლიური სულისა. მწველი სითბო „გოლივაფირო“ - სი, როგორც მარადიული დედაშვილობა დღესაც თავს მეკლება.

ქ. სენაკში შექმნილი მემორიალი „დიდებას ჯუბი“ სულიერი ემოციის ნაყოფია: ხელოვანის შინაგანი დატვირთვის ტკივილამდე დაჭიმული ნერვების სიმეხზე ნაკალი სამი წელიწადი. ეს არის განწყობილება სულიერი, რასაც ვგრძნობდი მუშაობის პროცესში. არ არსებობდა წუთი გამოთიშვისა. თითუ-

ბის ბოლოებზე ვგრძნობდი მთელ ემოციურ დატვირთვას; საოცარი შეგრძნებაა: არ არსებობს არაფერი გაუკეთებელი - ყველა შინაგანი დატვირთვის მომენტი ხელოვანისა მაშინ გადადის მასალაში მაგიური ძალით.

ზოგადსაჯავობრიო ხედვა დიდი ომისადმი, ალბათ სტიქიურ ძალას ემსაგავსება, დიდი წარღვნის ტოლია, მარადიულია თემა ამ წარღვნის შემდეგ სიცოცხლის ყლორტის ამონვერვისა.

თემა 1. მიწა დედა და დედა სამშობლო - თემა მარადიული უდგას დედაბოძად წინა-პართა სულს, ჩვენში ჩამოსახლებულს, ჩვენს სახლში დაბუდებულს, გადმოსულს ჟამთა სიავიდან ჩვენ ძარღვებში, გენებში, აღმფოთებულ სულს, ხელებჩამოყრილს და გაოგნებულს ამ უბედურების უჩინარ მოწმეთ; თალი ამშვენებთ მათ მარადიულობას ამ უსასრულობაში.

თემა 2. ომის ჭყლეტასა და სიკვდილის ძაბრის სივიწროვეში გამონაწერი მერანი შემორჩენილი სახიჩარი სხეულით და ამ ნაშთის ჩამოსახსნელად სასოებით ხელაწვდილი დედები... დები...

თემა 3. ჯგუფი ზარისა მოტირალთა კი არა, მავდრებელთა, სივრცეში ხედვით, სურათით ხელში, რომელიც იყო შვილი, ხატი ადამიანთა წმინდა რწმენისა, არსებისა.

თემა 4. ჯავობრიობის მაცოცხებელი ძალა წინააღმდეგობისა, ძუძუებ ატორტმანებული ქალი საყვირით, ღრმა, მაყვირალი სივრცე კოსმიური დრტკინვით აღსავსე და ამხედრებული სული ადამიანებისა - ძალაა დიდი.

თემა 5. ფეხმძიმე ქალი ნიადაგგამოცლილი, უსასრულობაში მდგომი, სანთლად ნაწერი, ნაწამები, მაგრამ ძლიერი, ამაყი ფუძე - ძალა მომცემი მომავლისა, ხერხემალი. და ბნელი სივრცე. და მამაყავი გამანაყოფიერებელი ჭერს მიბჯენილი თავით, შებოჭილ სივრცეში ხელებით იცავს, იფარავს ადგილს ნაყოფის მომცემს, და შვილი, ძე, ყლორტი ახალი მარადიული - მამაყავის ფესვიდან - აწვერებული თავისუფალი ისწრაფვის ცისკენ

სინათლით მოწყურებული. თემა - ოპტიმისტური; ბავშვი, ახალი სიცოცხლე - დიდი წარღვნის შემდეგ გადარჩენილი ნოეს კიდობანი.

ასე გავაკეთე; პირდაპირ თაბაშირში გავაკეთე; საძირკველს შემოუყუვი გარშემო... ამოვაშენე აბრეშუმის ჭიასავით. ჭუპრი გავაკეთე. შიგ მოვექეცი. მარტომ ავაშენე - სხვისი ხელის დაქარება ჩაანგრევდა, ჩამლიდა უფსკრულში, ველარ ამოვკრეფდი. ის აღარ იქნებოდა.

კუბი გარდიგარდმო ნაკვეთი ნაჟური ცის ნათება - იმედის სხივი. ობოლი სანთელი მოუხდება - სიცოცხლის ფეთქვა.

მარმარილო, რასაკვირველია მარმარილო, თეთრი მცივარი და თბილი - როგორც დედამიწა.

ყოველ ღამეს ვათენებდი ასე: ვინა ხარ, რა ხარ, ღმერთი ხარ, ცა ხარ, მიწა ხარ - გამაკეთებინე. ქვეთემები:

ა. ბრძენი ვარსკვლავთმრიცხველი აკიდოზე შემოსკუპებული, სამყაროს უსასრულობაში მაცქერალი.

ბ. ფიგურები თავდაყირა მალლად და დაბლად მავალნი.

გ. სახცად დარჩენილნი.

დ. ერთმანეთზე აკიდებულნი.

ე. გაღვრილ - გამოღვრილნი - აწელილნი. ჩახლართულნი და ჩამოხლართულნი. სიმივით მყლერი ასოცი ფიგურა თავით და ტანით. კუბი თეთრი და ქათქათა, წმინდა სავანე - სუდარა თეთრი. მარადიული ფორმა გაბზარული. დიდი ტკივილი ნაბზარ სხეულში ჩადულეული.

თითებში გრძნობ მაგიური სიმების სათქმელს... და... აკეთებ... პრობლემები:

კომპოზიცია: სივრცის განაწილება, წინა და უკანა პლანები, ჭერი და კედლები, ამობურცულები - ღრმულები. მრგვალისა და ბრტყელის დამოკიდებულება. წვრილისა და

მსხვილის ურთიერთობა და პლასტიკა. სულიერი სივრცის ძერწვა, დიდისა და პატარის ურთიერთწყობა, შეფარდება. „ბალვანა“ და მისი მიყვანა. ჩრდილ-სინათლის საიდუმლოება.

კოსმიური შეგრძნებები თაბაშირში მუშაობა დასრულდა გავიდა სამი წელი - 1977 - 1980წწ. ჩამომსხმელების ძებნაში კიდევ ერთი წელი.

ყალიბი ალებულია! ჩაისხა! ჩაისხა. გავიდა 5 ბედნიერი წელი. 19 ივნისი 1977 - ივლისი 1982 ძეგლი გაიხსნა 1984 წელს - მაისში.

P.S. ასოცი ფიგურა ტანით და თავით: ვგულისხმობდი კომპოზიციურ გააზრებას, ანუ კომპოზიციურ ხილვას ჩემს გონებაში: თითქოს კუბის შიდა სივრცეში ოცი ფიგურა ტექსტის კომპოზიციას ქმნიდა ანუ ტანთა კომპოზიციურ წყობას. ხოლო სხეულზე კომპოზიციური მიბმით - თავები სასვენნი ნიშნების ქაოტურ წყობას სტრუქტურულ წესრიგში აქვევდნენ და კომპოზიციის წესრიგს ასაბუთებდნენ.


ღამაში იყო თეთრ თაბაშირში მთელი ეს კომპოზიცია: თეთრ მარმარილოს გავდა... სპეცაქს - ნიუანსების ხლართული ლივლივით. დასანანია... ბეტონმა სინათლის სხივი ჩაყლაპა და სრულყოფილება დაუხემა...

მაგრამ იმედი მაქვს დროთა განმავლობაში ბეტონში ჩამოსხმული ძეგლი ჩაიყანგება, ქერქს მოიღებს, ვულკანურ ბაზალტს დაემსგავსება და ასეთი შინაარსის არსით შემორჩება... დანატოვრად... ჩვენგან...

ხელეჩოთი დამუშავება ნაადგება ძეგლის ბეტონის ზედაპირს, ჟამთა მსვლელობით ჩაიყანგება.

თეთრი მარმარილო რომ ყოფილიყო - ზედაპირს სრიალთა დამუშავება მოუხდებოდა.







MEMORIAL BUILT IN SENAKI MY PERSONAL EMOTIONAL ATTACHMENT

I would like to express my gratitude to the architects: Vakhtang Davitaia, Shota Bostanashvili and Giuli Gegelia – for high power of thought and for being friendly spirits – they were born as Maecenas.

I am grateful to at that time Chairman of the Senaki district, the creative journalist Vakhtang Esvanjia. He was a great art supporter Not only for my sculptures ... that's how he was. He was born to be a friendly spirit.

I am grateful to Senaki society, for their dear spirits. The burning warmth of M "Golivafiro", as the infinite motherhood, still soothes me.

The memorial constructed in Senaki "the Cube of Glory" is the fruit of the spiritual emotion: three years long path over the strings of nerves tightened by the internal emotional pain of the creator. This is a spiritual state, which was so obvious during the creation period. There was not a moment of idleness. I felt the emotional burden on the tips of my fingers; it is amazing feeling: there is nothing undone – every moment of internal strain of the creator is transmitted in a magical way into the materials.

The global view on the war reflects the natural catastrophe, equals to the great flood, and the eternal theme- rebirth of life after such flood.

Theme 1. Mother land and mother home country – this eternal theme supports the spirits of our ancestors, continuing its existence in us, in our homes, flowing from the past dark times into our veins, genes, spirits at unrest, stupefied and immobilized by witnessing this devastation; in this infinity the dome protects their eternity.

Theme 2. The steed born from the narrow neck of the war disaster and death funnel with its scarred body, and the hands of mothers and sisters stretched out in the attempt to save its suffered body.

Theme 3. The group of not grieving but begging, with the view of a perspective, with the picture in the hand, the picture of a son, the picture of the pristine human hope, existence.

Theme 4. The human livelihood force of controversy, a breastfeeding mother with a horn, deep space disturbed by the cosmic unrest and rebellious spirit of humans – is a great force.

Theme 5. The pregnant woman, standing on a groundless infinity, tortured and troubled, but strong, proud – the force that gives the birth to the future. The spine. And the dark space. And a man supporting the ceiling with his head, he tries to protect and hide the bodily parts which give generations in the restricted space, and a child, a son, the new and eternal bud from the father's roots – trying to reach the freedom, thirsty for sky and light. The theme is optimistic; a child, new life-the Noah's Arch after the great flood.

This is how I did it: I did in directly in gypsum: I followed the fundament all around ... I built it like a silkworm. Made a cocoon and found myself inside it. I did it all on my own – somebody



else would destroy it, would make it vanish in it in the oblivion, I would not be able to collect it together again. It would not exist anymore.

The Cube, lit with the light from the skies all across – is the ray of hope.
The solitaire candle would do it good – the symbol of life.

The marble, of course the marble, white cold and warm – like an earth.
I spent every night sleepless like this: whoever and whatever you are, the god, the sky, the earth – help me to do this.

Sub-themes:

- a. The wise stargazer, sitting on the high, gazing into the eternity.
- b. The upside-down figures walking up and down.
- c. Mesmerized
- d. Bind to each other
- e. All meshed up together. Tangled with each other. One hundred and twenty figures with voices like strings, with heads and bodies. The Cube is white and clear, the pristine grave – white shroud. The eternal form with a crack. The great pain embedded in the broken body. I feel with my fingertips the magical voices of the strings ... and ... I am creating

Problems

Composition: distribution of the space, foreground and background, ceiling and stairs, bumps and hollows. Interdependence between the round and the flat; Correlation of narrow and wide and its plasticity; Creation of the spiritual space, arrangement of a large and a small, correlation between these two; Model and its completion; The secret of the light and shades; The Cosmic senses.

Works in gypsum are finished.

Three years have passed. 1977 - 1980.
One more year has gone in search of foundry-men
The mold is finished!
The mold is casted!
Five happy years have passed.
June 19, 1977 – July 1982
The Sculpture was opened in May 1984.

P.S.

Twenty figures with bodies and heads: I meant the compositional structure, or more resize the compositional vision in my mind: as if twenty figures in the inner space of the cube created a composition of the text, or the compositional structures of the bodies. And being compositionally adjusted to the bodies – the heads bring the chaotic structure of the punctuation marks into structural order- and prove the order of the entire composition.

This composition was beautiful in white gypsum: looked like a white marble... very pure-with the ripples of complex nuances. It is regretful...the concrete has absorbed the light and as stiffened the perfection... but I hope that the concrete sculpture will go rusty and develop its own crust, and will look like a volcanic basalt and will stay forever like this, as a heritage from us.

The finishing with chisel will be good for the concrete surface of the sculpture; it will become rusty as the time goes.

If it was a white marble than the smooth finishing of the surface would do it good.







პაატა
PAATA
1973



ინტელექტი
INTELLECT
1974





ENGURI
1975





არქიტექტორი
ARCHITECT
1975



დავით სიორიძე
PORTRAIT OF A MOTHER
1982



ლარა
LAURA
1971



მოლოდინი - მწუხარა დედა
WAITING - GRIEVING MOTHER
1984





336d0
ARIES
1974



06060
HORSE
1984





ცხოველები - მოდელი ჰროეჩისათვის საბავშვო პარკი მალთაყვანი
ANIMALS IN CHILDREN'S PARK MALTAKVA. PROJECT
1984



ტორსო
TORSO
1994







ბორსი
TORSO
1986



ტორსო
TORSO
1990



სის ფიგურა
WOODEN FIGURE
2000



ქართულ ეპოსში:

ძველად დიდი ხნის წინ დედამიწას მფარველობდა
დოვლათისა და ზნეობის,
წონასწორობის ჭეშმარიტების ქალღმერთი „ია“
და იყო დოვლათი, ზნეობა და მარადიუობა დედამი-
წაზე.
მაგრამ
მოვარდა ქვესქნელი და გაიტაცა ბედნიერების ქალ-
ღმერთი;
მხოლოდ მისი იდუმალი ხმალა დრჩა დედამიწაზე;
გადმოცემა ამბობს:
ეს ხმა იმ ადამიანს ჩაესმის - ვინც თავის თავს ამ ქალ-
ღმერთის ძებნაში ხარჯავს;
„ჭეშმარიტება შენშია, რადგან მე მეძებ“ .
ჩასჩურჩულებს მას „ია“.

In Georgian Epos

A long time ago, the Goddess of prosperity and de-
cency, the truth of the Universal balance, Ia, guarded
the Earth ;
So prosperity, decency and eternity reigned on the
Earth.
But the underworld irrupted and stole the Goddess of
happiness.
Only her mysterious voice remained on the Earth;
And so the tale goes, that only those who loose them-
selves in search of the Goddess are able to hear this
voice:
“The truth is within you, as you are still looking for me...”
whispers Ia to them.

წონისწორებისა და ზეგმარების ქალღმერთი „ია“ - „უტოპია“
GODDESS OF TRUTH AND UNIVERSAL BALANCE „IA“ - „UTOPIA“
1995








წონასწორობისა და ჭეშმარიტების ქალღმერთი „ია“ - „უტოპია“
GODDESS OF TRUTH AND UNIVERSAL BALANCE „IA“ - „UTOPIA“
1995



ფრთოვანი ხარი
WINGED BULL
1992







ბალერინა
BALERINA
1985



წმ. ანდრია პირველწოდებული
ST. ANDREW THE FIRST - CALLED
1985



68. 6067
ST. NINO
1985





საქართველოს ბეაბიანი
CHRONIDER OF GEORGIA
1980 - 1990





მეფე ანანი

1985 - 1993

KING AYET











იაკობ გოგებაშვილი
IAKOB GOGEBASHVILI
2000





თამარ მეფე

1995 - 2004

QUEEN TAMAR

















თამარ მეფის პორტრეტი
PORTRAIT OF QUEEN TAMAR
1998

შენიშვნა:

საპარტიო ომის წყევლის დროს ჩვენი ქვეყნის მუსლიმურმა
ელ ომის ნათესავებმა იჩინეს მხარე ინტერპარაღული მხარეობის
საფუძველზე გასული წლების დროს ჩვენს ქვეყანაში.

მე ყველა 63 წლის ვახუშტის:

ვინაშის - დღეს მომხდურა მძვინვარება ამ ომის დროს მუსლიმთა
წინააღმდეგობისთვის, რა ომშიც ამ დროს ჩვენი მუსლიმურ
ომათებს გაუცხოებდა, მინდა მოინახურო ჩვენი ელ ომის ნათესავები
და ამხარობა მხარეში მათ საპარტიო დროს

მუსლიმთა

წინააღმდეგობის დროს მუსლიმთა, მათთვის ენი
და ყველაზე უფრო მუსლიმთა.

1999 წ. 30 აპრილი ამხარობა დამხმარე მუსლიმთა



ՎՅԵՄՅՄԻՐՅԱՆ
SELF-PORTRAIT

Handwritten text in cursive script, possibly a signature or name, oriented vertically.